

ლელა ავალიანი,
ლუიზა ხატაშურიძე

მისალმება-დამშვიდობების ფორმები ქართულსა და არაბულში

ტრადიცია ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობას გადაცემული ადათები, წესები და ქცევის ნორმებია. იგი ვრცელდება გარკვეული სოციალური ჯგუფის (ერის, სუბეთნიკური ჯგუფის, ერთი ქალაქის მოსახლეობის, ოჯახის) შიგნით ან თაობაში. მსგავსი ტრადიციების მქონე სოციალური ჯგუფები აყალიბებენ კულტურას. ტრადიციის მაგალითია ადამიანთან მოპყრობის ან მისალმების განსხვავებული ფორმები სხვადასხვა საზოგადოებაში.

საზოგადოებაში ოდითგანვე მტკიცედ შემუშავებულ ზნე-ჩვეულებებს შორის ერთმანეთის დახვედრისა და მისალმება-დამშვიდობების წესიც არსებობდა. ყველა ერის აღნიშნულ ჩვეულებაში კარგად ჩანს ადამიანთა სოციალური, გენდერული და ასაკობრივი დიფერენციაცია. ასევე განსხვავდება მისალმება-დამშვიდობების ფორმულები და ქესტები სადაც და სადღესასწაულო დღეებში.

მისალმება-დამშვიდობების ფორმები გარკვეულწილად ამა თუ იმ ერის ისტორიაზეც მიანიშნებს. მაგალითად, საქართველოში ურთიერთშემხვედრნი მისალმებისას სიტყვა „გამარჯობას“ ცვლიან (იგივე **გამარჯვება**), რაც ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად ჩვენს მუდმივ ბრძოლაზე მიუთითებს. ამავე დატვირთვით გამოიყენებოდა: „მშვიდობა თქვენდა“. ის დღეს უმეტესად ეკლესიაში გვეხვება.

ეკლესიაში მრევლი, ასაკისა და სქესის მიუხედავად, ჩვეულებრივ დღეებში ერთმანეთს ასე ესალმება: „მშვიდობა“, „მშვიდობა თქვენდა“. პასუხად იღებენ: „და სულისაცა თქვენისა თანა“. საღამოს ლოცვაზე, ზემოთ თქმულის გარდა, გვხვდება: „მწუხრი მშვიდობისა“. პასუხი - „მშვიდობა არ დაგილიოს ღმერთმა“.

as-salāmu ‘alaykum „მშვიდობა თქვენდა“ არაბულ სამყაროშიც გავრცელებული მისალმებაა. მას იყენებენ სხვადასხვა ეროვნების მუსლიმები (ეკვივალენტია სიტყვისა „გამარჯობა“). ტრადიციულად მასზე პასუხობენ: ‘alaykum as-salām. ამ მისალმებას თავდაპირველად რელიგიური დატვირთვა ჰქონდა: მშვიდობა (გქონდეს) ღმერთთან! შდრ.: Мир с богом! ყურანის თანახმად, მუსლიმი ვალდებულია საღამოზე უპასუხოს მსგავსი ან მისალმების უკეთესი ვარიანტით. მორწმუნე მუსლიმები ერთმანეთს ასე ესალმებიან: as-salāmu ‘alaykum waraḥmatu l-lāhi „მშვიდობა თქვენდა და წყალობა ღვთისა“; as-salāmu ‘alaykum waraḥmatu l-lāhi wa barakātuhu „მშვიდობა თქვენდა, წყალობა და ლოცვა-კურთხევა“.

ქრისტიანები და სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები მუსლიმ არაბებს ასე ხვდებიან: salām „სალამი!“ პასუხი: salām wa na‘ma „მშვიდობა

და კეთილდღეობა!" ვფიქრობთ. საქართველოს მსგავსად, არაბულ სამყაროში მისალმების ეს ფორმები ნანატრი მშვიდობის გამოხატულებაა.

შეინიშნება მისალმების დიფერენციაცია დღის განმავლობაში (დღით, შუადღესა და საღამოს). მაგალითად, ქრისტიანი არაბები ერთმანეთს დღის 12 საათამდე „მშვიდობიან დილას“ უსურვებენ ერთმანეთს: *sabāḥu l-hayr*. 12 საათის შემდეგ კი – „მშვიდობიან საღამოს“: *masā'u l-hayr*. შუა დღით: *nahāruk sa'īd* „ბედნიერი დღე!“ ეგვიპტეში შეიძლება გაიგონოთ: *nahāruk 'abyaḍ* „თეთრი დღე გქონოდეს!“ საღამოს არაბები ერთმანეთს კვლავ მშვიდობიან ღამეს უსურვებენ: *masā'a al-hayr* „საღამო მშვიდობისა!“ პასუხი: *masā'an-nūr an masā'u l-ward* და სხვა (იყენებენ იმავე სიტყვებს, რასაც დღის მისალმებისას: ვარდი, ყასმინი...).

თითქმის ანალოგიური მისალმების ფორმებია დღის განმავლობაში ქართულშიც. თუმცა, მისალმება-დამშვიდობების დადგენილი ფორმების გარდა, გვხვდება შემოქმედებითი ფრაზებიც, რომლებიც ერთგვარ დალოცვის ფორმებსაც წარმოადგენენ: „წარმატებული/კურთხეული/ ბედნიერი დღე“, „ტკბილი ძილი“, „მშვიდობიანი ღამე“... ერთმანეთის ნახვის სურვილით თავაზიანი გამომშვიდობების ფრაზაა: „ნახვამდის“, „მომავალ შეხვედრამდე“...

არაბულ წრეებში პოპულარულია რომანტიკული მისალმებები (შეიძლება დამოუკიდებლადაც მოიფიქრო): *sabāḥu l-yasmīn* „ყასმინების დილას გისურვებთ!“ *sabāḥu l-'asal* „თაფლის დილა!“ (ტკბილი დილა!), *sabāḥu l-musq* „მუსკუსის დილა!“ *sabāḥu l-'anbar* „ამბრის დილა!“ ('anbar (სიმინდის) ბეღელი), *sabāḥu l-qarantūl* „მიხაკების დილა!“

ეგვიპტეში, გიზის სექტორში, გაიგონებთ: *sabāḥu l-fūl*, *sabāḥu l-qiṣṣa*, *qīṣṣa* ითარგმნება როგორც „ნაღები“. მაგრამ შეიძლება ნიშნავდეს „შემოსავალსაც“. ახალგაზრდებში პოპულარულია: *'ahīā sabāḥ* „ყველაზე ტკბილი დილა!“ არაოფიციალური მისალმების ნიმუშებია: *marḥaban*. შდრ.: რუსული *привет!* *'ahlan* „კეთილი იყოს შენი მოსვლა!“

სოციალური დიფერენციაცია

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „წარჩინებულნი მოვალენი იყვნენ ერთმანეთისადმი თანასწორი პატივისცემა გამოეჩინათ იმიტომ, რომ ურთიერთის „პატივად ხილვა“ ამ წესის ზრდილობიანობის საანბანო ქეშმარიტებად ითვლებოდა. „წესისამებრ პატივით ხილვა“ იმაში მდგომარეობდა, რომ, როდესაც წარჩინებულნი, ცხენზე მსხდომნი, ერთიმეორეს შეხვდებოდნენ, ორივენი მოვალენი იყვნენ ჯერ ჩამოქვეითებულიყვნენ, ხოლო შემდეგ კოცნით, მხარზე მთხვევით მისალმებოდნენ ერთმანეთს. ქართველი ეამთააღმწერელი საუბრობს ერთ შემთხვევაზე, როდესაც ეს წესი დაურღვევიათ: „ავაგ ამირსპასალარი უცხოეთიდან საქართველოში ბრუნდებოდა, ქართველებმა ეს რომ გაიგეს, წინამოეგებნეს ყოველნი მთავარნი და წარჩინებულნი შანშა და ეგარსლანი, რომელსა კინდა და სახელიცა მეფობისა ეპყრა და ვითარ მიეახლა ავაგ, ჰგონებდა ჰონისაგან გარდამოდომად და ეგრეთ ხილვად ეგარსლანისაგან. ხოლო იგი განლაღებულ იყო, არა ინება წესისამებრ პატივით ხილვად და ამბორისყოფად ავაგისა და ამიტომაც შესაფერისად დაისაჯა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1919: 62).

დღეს საქართველოში დამკვიდრებული წესის თანახმად, მამაკაცი პირველი ესალმება მანდილოსანს, უმცროსი - უფროსს, თანამშრომელი - ხელმძღვანელს. დღაწლმოსილ ადამიანს ყოველთვის პირველი ესალმებიან. მუსლიმს არ შეუძლია პირველი მიესალმოს მლოცველს, ქადაგების ან ყურანის მკითხველს, მუეძინს, რომელიც ხალხს ლოცვისაკენ მოუწოდებს ან მას, ვინც ქამს. პირველად ქალაქის მცხოვრები უნდა მიესალმოს სოფლის მცხოვრებს, ცხენოსანი - ფეხით მოსიარულეს, ფეხზე მდგომი - მჯდომს, ბატონი - მსახურს.

ერთგვარი სოციალური დიფერენციაცია გვხვდება ეკლესიაშიც: ა) მრევლს შორის, ბ) მრევლსა და მოძღვარს შორის.

მრევლი მოძღვარს თავის დაკვრიოთა და იმავე ფრაზებით ესალმება, როგორც ერთმანეთს ან მარცხენა ხელის გულს ზემოდან ზურგით დაადებენ მარჯვენას და თავს დაუკრავენ, რაც აღნიშნავს მისალმებას კურთხევის გამოთხოვით. აღნიშნულ გესტს შეიძლება ახლდეს სიტყვები: „გაკურთხე, მამაო!“ ან „დამლოცეთ, მამაო!“ მისალმების უსიტყვო ფორმაა აგრეთვე მოძღვრის, უფრო კი ეპისკოპოსის წინაშე დაჩოქება და თავის დახრა. ასეთ შემთხვევაში მღვდელი ჯვრის გადასახვით პასუხობს და ხელს ან ჯვარს გაუწვდის საამბოროებლად შესაძლოა ჯვარი გამოსახოს სიტყვებით: „გაკურთხოს უფალმა“. სიტყვიერი მისალმებისას მოძღვარი პასუხობს: „მშვიდობა“, „მშვიდობა თქვენდა“ ან „გაკურთხოს უფალმა“.

მოძღვრები და სხვა ღვთისმსახურნი (დიაკვანი, სტიქაროსანი, მორჩილი) ერთმანეთს თავის დაკვრიოთ, ბეჭყ მთხვევით ან სიტყვებით: „მშვიდობა თქვენდა“ ესალმებიან. მღვდლები ზოგჯერ სულიერ შვილებსაც ხვდებიან მხარზე კოცნით.

მსგავსი მისალმება-დამშვიდობების ფორმებია ქრისტიან არაბებთანაც. მრევლი მოძღვარს მისალმების ნაცვლად მიმართავს: „დამლოცე, მამაო!“ salāmī yā ‘abī პასუხად იღებს. salām wa rab ma‘ak „მშვიდობა და ღმერთი იყოს შენთან! ღმერთი შენთან!“ rabbuna ma‘ak. ლოცვის (ლიტურგიის, წირვის) დასრულების შემდეგ კოპტები დამშვიდობებისას ასე ლოცავენ ერთმანეთს: t’is wa tsallī „იცხოვრე და ილოცე!“

გარდა ზემოთქმულისა, აშკარაა, რომ სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებს შორის საანალიზო ფორმები სხვაობს. მაგალითად, საქართველოში თინეიჯერები ერთმანეთს ესალმებიან სიტყვებით: პრივეტ, ბარო, ჰელოუ, ზდაროვა, გაუ (გამარჯობის შემოკლებული ფორმა), დამშვიდობებისას გამოიყენება: პაკა, ჩაო, გუდბაი... (მოცემულ ფრაზებში აშკარად იგრძნობა ახალგაზრდების მისწრაფება განსხვავებულობისაკენ, რაც ძირითადად არატრადიციული, ძირითადად შემოსული სიტყვების გამოყენებაში გამოიხატება)

გენდერული დიფერენციაცია

მუსლიმს არ შეუძლია პირველი მიესალმოს უცნობ ქალიშვილს. ახალგაზრდა ქალს. საქართველოში დღეს მსგავსი დიფერენციაცია არ შეინიშნება. თუმცა ეთნოგრაფიული და შესაბამისი ლიტერატურული მასალა ადასტურებს გენდერულ დიფერენციაციას მისალმება-დამშვიდობების ფორმებში ძველად მაგალითად, თუ დღეს მორწმუნენი ერთმანეთს ესალმებიან თავის დაკვრიოთ ან ბეჭყ მთხვევით. მიუხედავად ასაკისა და სქესისა,

ტიპიკონისა და წერილობითი ძეგლების მიხედვით, ბექზე ძველად მხოლოდ ერთი სქესის ადამიანები ემთხვეოდნენ ერთმანეთს. მამაკაცები ქალებს მხოლოდ თავის დაკვრით ან გულზე ხელის დადებითა და თავის დაკვრით ხვდებოდნენ.

ასაკობრივი დიფერენციაცია

მისალმების ფორმებში შეიმჩნევა ერთგვარი ასაკობრივი დიფერენციაცია. საქართველოში ახალგაზრდა გოგონა, ვაჟი ან ბავშვი ასაკოვან ადამიანს პირველი ესალმება. უფროსი შეიძლება ბავშვს მიესალმოს ხელის ჩამორთმევით ან გამოელაპარაკოს. არაბულ ქვეყნებში პირველად უფროსი ესალმება უმცროსს, მამა - შვილს, დედა - ქალიშვილს.

მისალმების ფორმები რელიგიურ დღესასწაულებზე

საქართველოში დღესასწაულებზე ერთმანეთს ასე ხვდებიან: „მრავალს დაესწარით!“ თუკი რომელიმე წმიდანის დღეა, დალოცვითაც ესალმებიან: „ღვთისმშობელი გფარავდეთ!“ „ღვთისმშობელმა გაკურთხოთ!“ „წმიდა გიორგი შეგეწიოთ!“, „წმიდა გიორგი გფარავდეთ!..“ მსგავს სიტუაციას ვხვდებით კობტებთანაც: „წმინდა გიორგიმ დაგიფაროს!“ *liyakun mār ġurġuṣ ṣafi’an lak* „ღვთისმშობელი გფარავდეს!“ *biṣifā’et wāldet il-lāh.*

აღდგომის დღეებში ერი და ბერი ერთმანეთს ასე ეგებება: „ქრისტე აღსდგა!“ - „ქეშმარიტად!“ „ქეშმარიტად აღსდგა!“ „მრავალს დაესწარით!“ „თქვენთანად, მრავალს დაგასწროთ უფალმა!“...

ანალოგიური მდგობარეობაა არაბულ ქვეყნებშიც. აქ აღდგომის დღესასწაულს მუსლიმი არაბები ასე ულოცავენ ქრისტიანებს: *al-masīḥ qāma* „ქრისტე აღსდგა!“, თავად ეგვიპტელი კობტები კი - *ḥristūs anestā* „ქრისტე აღსდგა!“ პასუხად ამბობენ: *al-yasūs anestā.*

საქართველოში შობის დღეებში გაიგონებთ: „ქრისტე იშვა“. პასუხი: „გიზაროდენ!“ მასაც მოსდევს დალოცვა. ქრისტიან არაბებში გვხვდება: *‘īd miḥād sa’īd* „ბედნიერ შობას გისურვებთ!“ მუსლიმები სხვა რელიგიურ დღესასწაულებზე ასე ესალმებიან ერთმანეთს: *‘īd sa’īd* „ბედნიერ დღესასწაულს გისურვებ!“ რამადანის თვეში მილოცვა ასე ეღერს: *ramadān karīm* პასუხი: *allahu ‘akram* „ალაჰი მწყალობელია!“ რამადანის მარხვაში, დღის მეორე ნახევარში, დამშვიდობებისას მუსლიმები ერთმანეთს სასიამოვნო ტრაპეზს უსურვებენ: *ifṭār hanīan*. ტრადიციულ ისლამურ საზოგადოებაში ერთმანეთს ასევე უსურვებენ: *ṣauman maqbūlan wa ‘ifṭāran ṣahian* „დაე, თქვენი მარხვა ალაჰისთვის მისაღები იყოს, ზოლო გახსნილება-გემრიელი“. ყურბან ბაირამის დღესასწაულს მუსლიმების ტრადიციული მილოცვაა: *‘īdu l-a’dḥā mubārak* „კურთხეულ იყოს მსხვერპლთშეწირვის დღესასწაული!“

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ რადიკალურად განსხვავებული კულტურების მიუხედავად, მისალმება-დამშვიდობების ფორმულები ქართულსა და არაბულში ხშირად თანხვედრია. მათში გარკვეულწილად ჩანს ერის ისტორია, სოციალური, გენდერული და ასაკობრივი დიფერენციაცია.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ საანალიზო ფორმები ერთგვარად ჩამოყალიბებული შაბლონური ფორმებია, თუმცა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებობს უნივერსალური ადამიანური ფასეულობები, რომლებსაც ყველა კერძო კულტურა თავისი პრიზმიდან აღწერს და ხშირად თანხვედრა სრულიად დაშორებულ და განსხვავებულ კულტურებში არსებულს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბიბლია, 1989 – ბიბლია, სტოკჰოლმი, 1989.
- ა. ნეიშანი, 1978 – ა. ნეიშანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.
- თ. სახოკია, 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
- ს.-ს. ორბელიანი, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. 1, თბ., 1991.
- ალ. ღლონტი, 197 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბ., 197.
- ივ. ჭავჭავაძე, 1919 – ივ. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, ტ. 1. ქუთაისი, 1919
- ხ. ბარანოვი, 1989 – Баранов Х., Арабско- русский словарь, М., 1989.
- ა. ფავზი, ვ. შკლიაროვი, 1989 – Фавзи А.М., Шкляров В.Т., Учебный русско-арабский фразеологический словарь, М., 1989.
- გ. შარბატოვი, 1964 – Шарбагов Г. Ш., Русско-арабский учебный словарь, М., 1964.

LELA AVALIANI, LUIZA KHACHAPURIDZE

ON GREETING - FAREWELL FORMULAS
IN GEORGIAN AND ARABIC

The article discusses the forms of greetings and farewells attested in the speech of different nations with different traditions, language and religion (i.e. Orthodox Georgians and Arab Muslims).

From the perspective of linguoculturology, the study as well as comparison of these formulas is very interesting because it clearly demonstrates the similarities and specificities of various linguistic groups, bringing the nation's history to attention, to some extent.

Despite the fact that we are dealing with radically different cultures, the examined materials reveal that the greeting-farewell formulas in Georgian and Arabic are often similar. To a certain extent, they reflect the nation's history as well as social, gender and age differentiation.

In summary, the analyzed forms that are attested in Georgian and Arabic reveal that they have rather turned into templates: however, they once again prove that universal human values, occurring across totally distinct and diverse cultures and being described from the perspective of every particular culture, often overlap.